საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის წევრი

ირაკლი კორძახია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორები: ს. ბ. და ზ. დ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 17.07.2018

საჩივრის რეგისტრაციის №091/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ შ. ჭ.-ის მიმართ, სიითი /№/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ შ. ჭ.-ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება; იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ გადაცემული თანხის ნაწილის უკან დაბრუნება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 17 ივლისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს ს. ბ.-მ და ზ. დ.-მ. საჩივრის ავტორები ითხოვდნენ ადვოკატ შ. ჭ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას და იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ გადაცემული თანხის ნაწილის უკან დაბრუნებას.

1.2 მომჩივანების განმარტებით, ისინი 1988 წლამდე ცხოვრობდნენ და ფლობდნენ უძრავ ქონებას მდებარე ქ. თბილისი, ჯ.-ს შესახვევი III, NX-ში, რომლის მესაკუთრე 2009 წლის 19 ივლისამდე (გარდაცვალებამდე) იყო ზ. დ.-ს მეუღლე და ს. ბ.-ის მამა შ. ბ.. შ. ბ.-ის გარდაცვალების შემდეგ მისი პირველი რიგის მემკვიდრეები ზ. დ. და ს. ბ. გახდნენ. 1988 წლიდან ოჯახი რუსეთში გადავიდა საცხოვრებლად, ხოლო 2013 წლის დასაწყისში ზ. დ.-მ და ს. ბ.-მ საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტეს. საჩივრის ავტორების განცხადებით, როდესაც ს. ბ. ჩამოვიდა საქართველოში მას საკუთარი სახლი მდებარე ქ. თბილისი, ჯ.-ს შესახვევი III, NX-ში თავისი

ბიძაშვილის, გ. პ.-ს, მიერ თაღლითური გზით მითვისებული დახვდა. საჩივრის ავტორების განმარტებით, მათი რუსეთში ყოფნის დროს სახლზე ყურადღების მიქცევა სთხოვეს ბიძაშვილს გ. პ.-ს, რომელმაც გაურკვეველი პირების დახმარებით დაამზადა შ. ბ.-ის ყალბი გარდაცვალების მოწმობა, რის შემდეგაც თავი გამოაცხადა ერთადერთ მემკვიდრედ და ნოტარიუს - ნ. ს.-ს მეშვეობით უკანონოდ მიიღო სამკვიდრო მოწმობა. შეიყვანა რა შეცდომაში საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ნაძალადევის სამსახური, თაღლითური გზით დაეუფლა უძრავ ქონებას, მდებარე ქ. თბილისი, ჯ.-ს შესახვევი III, NX-ში. დედა-შვილის განცხადებით მათ იურიდიული დახმარებისათვის მიმართეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრ შ. ჭ.-ს, რომელიც დაჰპირდა მათ, რომ გაუწევდა სათანადო იურიდიულ მომსახურეობას და დაეხმარებოდა კუთვნილი საცხოვრებელი სახლის დაბრუნებაში.

1.3 საჩივრის ავტორების განცხადებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით მათ დაუბრუნდათ გ. პ.-ს მიერ თაღლითური გზით მითვისებული უძრავი ქონება მდებარე ქ. თბილისი, ჯ.-ს შესახვევი III, NX-ში. სასამართლომ დედა-შვილი ცნო პირველი რიგის მემკვიდრეებად და შესაბამისად ამ ქონების მესაკუთრეებად. საჩივრის ავტორების თქმით, მათ ადვოკატმა წაგებული პროცესი მოაჩვენა მოგებულად, რადგან სასამართლოს მიერ მათ დაეკისრათ გ. პ.-ს მიერ უცხო პირებთან იპოთეკური სესხის ხელშეკრულებით თაღლითური გზით მიღებული 47 000 აშშ დოლარის გადახდა, რომელიც დღეისათვის შეადგენს 70 000 აშშ დოლარს. საჩივრის ავტორების განცხადებით, მათ არ იცოდნენ უძრავი ქონების დაბრუნების შემდეგ იპოთეკა თუ გადაყვებოდა ქონებას და მათ მოუწევდათ თანხის გადახდა. დედა-შვილის განცხადებით, მათთვის ამ ოდენობის თანხის მოძიება წარმოუდგენელია. მათივე განმარტებით, ადვოკატმა ისინი შეცდომაში შეიყვანა და საქმის გარშემო არსებული გარემოებების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია არ მიაწოდა.

1.4 საჩივრის ავტორები განცხადებაში აღნიშნავენ, რომ ადვოკატმა შ. ჭ.-მ მათ არასწორი ანგარიში წარუდგინა და 19 000 აშშ დოლარი გამოართვა საქმის წარმოებისათვის. დედა-შვილი მიიჩნევს, რომ ადვოკატს ამდენი თანხა არ დასჭირვებია მათი საქმის წარმოებისას და მოითხოვენ თანხის ნაწილის უკან დაბრუნებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2018 წლის 04 სექტემბერს ადვოკატმა შ. ჭ.-მ წარმოადგინა წერილობითი ახსნა–განმარტება, ხოლო 2018 წლის 22 ნოემბერს მონაწილეობა მიიღო საპროცესო კოლეგიის სხდომაში. ადვოკატის განმარტებით, ს. ბ.-ის და ზ. დ.-ს განცხადებში აღწერილი ფაქტები არ შეესაბამება რეალობას.

2.2 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორებთან ს. ბ.-თან და ზ. დ.-სთან მისი ურთიერთობა დაიწყო 2012 წლის აგვისტოს ბოლოდან. ს. ბ.-მ მას ელ-ფოსტაზე მისწერა შეტყობინება, სადაც ითხოვდა დახმარებას სახლისა და ნაკვეთის გადაფორმებაში ზ. დ.-ს სახელზე. ადვოკატმა 2012 წლიდან მხარეთა თხოვნით, დაიწყო რწმუნებულების გარეშე საჯარო ინფორმაციების მოძიება, მოკვლევა საჯარო რეესტრიდან. ადვოკატის განცხადებით, მას მხოლოდ სატელეფონო და სიტყვიერი ურთიერთობა ჰქონდა დედა-შვილთან, თანხა საერთოდ არ ჰქონდა აღებული მათგან

და არც რაიმე გარანტია არსებობდა იმისა, რომ შემდგომში ს. ბ. და ზ. დ. მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობას გააგრძელებდნენ.

2.3 ადვოკატის განცხადებით, სიცრუეა, რომ საჩივრის ავტორებმა გ. პ.-ს მიერ საბუთების გაყალბებისა და ქონების მითვისების ფაქტის შეტყობის შემდეგ დაიქირავეს ადვოკატი. შ. ჭ.-ის განმარტებით, სწორედ მის მიერ მოძიებული და მოკვლეული დოკუმენტებით და ოფიციალურად თუ არაოფიციალურად მოპოვებული ინფორმაციებით გახდა მისი კლიენტებისათვის ცნობილი უძრავი ქონების იმ დროს არსებული მდგომარეობა.

2.4 ადვოკატის განმარტებით, იგი კეთილსინდისიერად ახორციელებდა თავის მოვალეობებს და ყველაფერს აკეთებდა, რათა ს. ბ.-ს და ზ. დ.-ს მათი კუთვნილი სახლი დაბრუნებოდათ. კერძოდ, ადვოკატის თქმით, მან მიმართა საქართველოს ნოტარიუსთა პალატას, რათა გამოეთხოვა სანოტარო დოკუმენტები, რომლებიც უკავშირდებოდა გ. პ.-ს მიერ სამკვიდრო მოწმობის მიღების ფაქტს. ასევე, მიმართა არქივსა და საჯარო რეესტრს სხვადასხვა დოკუმენტების გამოსათხოვად. ადვოკატის განცხადებით, იგი დაუკავშირდა გ. პ.-ს მორიგების თაობაზე, თუმცა პ. მორიგებას არ აპირებდა. ასევე, როდესაც ადვოკატმა გ. პ.-საგან შეიტყო, რომ მიმდინარეობდა სააღსრულებო წარმოება იძულებით საჯარო აუქციონზე უძრავი ქონების გატანაზე, დაუყოვნებლივ შეიტანა განცხადება სასამართლოში და შეაჩერა სააღსრულებო წარმოება.

2.5 ადვოკატის განცხადებით, იგი ს. ბ.-ს შეხვდა 2014 წლის 27 იანვარს ქ. თბილისში, მარჯანიშვილზე ადვოკატის პირად ოფისში. ადვოკატის განმარტებით, შეხვედრა და კონსულტაციები გაგრძელდა თითქმის 3 საათი. ადვოკატ შ. ჭ.-სა და ს. ბ.-ს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელიც დამოწმებული იქნა ნოტარიუსის მიერ. ხელშეკრულება დადებული იყო როგორც მის, ასევე ადვოკატ მანანა ადეიშვილის სახელზე, რომელიც შ. ჭ.-ს ეხმარებოდა საქმის წარმოებაში. ს. ბ.-მ ამის შესახებ იცოდა და თანახმა იყო მათ საქმეში ჩართულიყო მეორე ადვოკატი მანანა ადეიშვილი. ასევე ადვოკატის განცხადებით, საქმის წარმოებისას მას ეხმარებოდა ა. ს., რომელსაც დამთავრებული აქვს რუსული სკოლა და მისი დახმარებით ს. ბ.-ს აწვდიდა ინფორმაციას რუსულად. ადვოკატი განცხადებაში მიუთითებს, რომ ოფისში ყოფნის დროს მან ს. ბ.-ს განუმარტა საქმის გარშემო არსებული მტკიცებულებები და ფაქტები, გააცნო საქმის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ასევე, ადვოკატს ს. ბ.-სათვის არ დაუმალავს, რომ მათი უძრავი ქონება იპოთეკით იყო დატვირთული, აუხსნა იპოთეკის არსი, რომ იპოთეკა ხასიათდება მიდევნების ბუნებით. ადვოკატის განცხადებით, მან ს. ბ.-ს განუმარტა იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოსალოდნელი საფრთხეები.

2.6 ადვოკატის განმარტებით, ს. ბ.-სა და ზ. დ.-სთვის წინასწარ გარანტია არ მიუცია საქმის შედეგებთან დაკავშირებით. წინასწარი გარანტია უძრავი ქონების მათ საკუთრებაში გადასვლის თაობაზეც არ მიუცია, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილობაზე მითუმეტეს.

2.7 ადვოკატის განცხადებით, მას 19 000 აშშ დოლარი არ აუღია საქმის წარმოებისათვის. მან დედა-შვილისაგან პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოებისას აიღო 1850 დოლარი და 4 400 ლარი, ხოლო სააპელაციო საქმის წარმოებისას 3870 აშშ დოლარი, რომელიც ს. ბ.-მ გადმოაგზავნა ა. ს.-ს სახელზე. ადვოკატი განმარტავს, რომ საქმის წარმოებისას მას დიდი სტრესის

გადატანა უხდებოდა. გამუდმებით ურეკავდნენ იპოთეკარები და ემუქრებოდნენ, რადგან მან ყადაღა დაუდო უძრავ ქონებაზე და შეუჩერა აღსრულების პროცესი. ასევე 2017 წელს მას დაუკავშირდა ვინმე „თენგიზი“ მუქარის ტონით, რომელმაც უთხრა რომ „ს.-ს“ დავალებით ურეკავდა და სურდა ეჩვენებინა საქმის მასალები. ადვოკატის თქმით, მან აჩვენა საქმის ყველა მასალა ვინმე „თენგიზს“, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს პიროვნება ს.-ს დავალებას არ ასრულებდა. ადვოკატი განმარტავს, რომ იგი ს.-ს ხშირად ეკონტაქტებოდა და ეუბნებოდა, რომ საკმაოდ რთული გარემოებები იყო საქმეში. იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაძლო საფრთხეებზეც აფრთხილებდა. ადვოკატი აცხადებს, რომ მისი მუშაობით ს. ბ. არ იყო უკმაყოფილო, წინაარმდეგ შემთხვევაში სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში წარმომადგენლობას მას აღარ სთხოვდა.

3. ადვოკატის მოწმის - ა. ს.-ს პოზიცია:

3.1 საპროცესო კოლეგიის სხდომაზე 2018 წლის 13 დეკემბერს ადვოკატის მოწმემ - ა. ს.-მ განმარტა, რომ ადვოკატი შ. ჭ. მისი ნათესავია და სწორედ მასთან ვიზიტისას შეხვდა ს. ბ.-ს.

3.2 მოწმის განმარტებით, 2014 წელს როდესაც იგი შ. ჭ.-ის ოფისში მივიდა ადვოკატი იურიდიულ მომსახურეობას უწევდა ს. ბ.-ს, ს. ბ. რუსულად უკეთ საუბრობდა ვიდრე ქართულად, ამიტომ ხშირად იყენებდა რუსულ ტერმინებს. მოწმის განმარტებით, მართალია ადვოკატმა იცოდა რუსული, მაგრამ საუბარი უჭირდა, ამიტომ დახმარება სთხოვა ა. ს.-ს, რომელსაც რუსული სკოლა აქვს დამთავრებული და კარგად იცის რუსული. ა. ს.-ს თქმით, ს.-ც დათანხმდა ადვოკატს, რომ მათ საუბარში ა. ს. დახმარებოდათ.

3.3 ა. ს. განმარტავს, რომ ადვოკატმა არაერთხელ გაუმეორა ს. ბ.-ს, რომ მათი უძრავი ქონება იპოთეკით იყო დატვირთული. ადვოკატმა ასევე უთხრა, რომ უძრავი ქონების მათ საკუთრებაში დაბრუნება რთული არ იქნებოდა, მაგრამ იპოთეკა მიდევნების თვისებით ხასიათდებოდა და უძრავი ქონების მათ საკუთრებაში გადასვლისას იპოთეკაც გადაყვებოდა ქონებას. ასევე მხარე გააფრთხილა, რომ თუ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხას არ დაფარავდნენ მათი ქონება აუქციონზე გაიყიდებოდა. ა. ს.-ს თქმით, ეს ყველაფერი ს. ბ.-ს თავადაც გაუმეორა რუსულად.

3.4 მოწმის განცხადებით, ს. ბ.-მ მას რწმუნებულება გაუფორმა, რათა ა. ს.-ს რუსული არაოფიციალური დოკუმენტები ეთარგმნა, ასევე ს.-ს მიერ გამოგზავნილ დოკუმენტებს დახვედროდა და თარჯიმანთან ეთარგმნა, ვინაიდან ა. ს. თარჯიმანი არ იყო. ა. ს.-სა და ს.-ს შორის გაფორმებული მინდობილობა ნოტარიულად დამოწმნდა. მოწმის განცხადებით, იგი თარგმნიდა არაოფიციალურ დოკუმენტებს, მაგრამ როცა მნიშვნელოვან დოკუმენტებს ეხებოდა საქმე ისინი თარჯიმანთან მიჰქონდა და ნოტარიულად ამოწმებინებდა. ა. ს.-ს განცხადებით, ერთი გვერდის თარგმნა 12 ლარი უჯდებოდა, რომლის თანხას ადვოკატი შ. ჭ. აძლევდა ს. ბ.-სთან შეთანხმებით.

3.5 ა. ს.-ს თქმით, იგი რამდენჯერმე დაესწრო ს.-სა და ადვოკატის შეხვედრას. მისი განმარტებით, ს. ბ-მ თითოეული საქმის დეტალი კარგად იცოდა. ა. ს.-ს თქმით, ადვოკატი შ. ჭ. ს. ბ.-ს ყველანაირად ეხმარებოდა, ცდილობდა სასამართლო სხდომების გადადებით დრო მოეგო მორიგებისათვის. ასევე სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებშიც უწევდა ს. ბ.-ს იურიდიულ მომსახურეობას.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი შ. ჭ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია – საერთო.

3.2 ს. ბ.-მ და ზ. დ.-მ ეთიკის კომისიას მომართეს 2018 წლის 17 ივლისს.

3.3 სადავო ქმედება ხორციელდებოდა 2012-2017 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე (2009 წლის რედაქცია) არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ შ. ჭ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30–ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიები გამოიხატება შემდეგში: ადვოკატმა სათანადო იურიდიული მომსახურეობა არ გაუწია, კერძოდ, არ გააცნო საქმის გარშემო არსებული ყველა გარემოება, ასევე ადვოკატმა საქმე მოგებულად წარმოუდგინა მაშინ, როცა იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სასამართლომ მათ დააკისრა 70 000 აშშ დოლარი, რაც ფაქტობრივად ქონების დაკარგვას ნიშნავდა; ადვოკატმა შეუსაბამოდ დიდი თანხა აიღო საქმის წარმოებისას. საჩივრის ავტორების მოთხოვნით ადვოკატმა თანხის ნაწილი უკან უნდა დააბრუნოს.

5.2 საპროცესო კოლეგიამ საჩივრის ავტორების პრეტენზია იმის თაობაზე, რომ ადვოკატმა არ აცნობა მათ საქმის დეტალები, რომ მათი კუთვნლი უძრავი ქონება იპოთეკით იყო დატვირთული, შეაფასა შემდეგი ნორმების ფარგლებში:

ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა."

ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია ..., რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.

5.3 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის მოვალეობაა, კლიენტს მისთვის გასაგებ ენაზე დროულად მიაწოდოს მის საქმეზე ინფორმაცია მასთან შეთანხმებული წესით ან ასეთი

შეთანხმების არარსებობის დროს კლიენტის მოთხოვნისთანავე. ადვოკატმა სათანადო გულმოდგინებითა და სასამართლო საქმის მიმდინარეობის ყველა შესაძლო რისკის შეფასებით, დროულად და გასაგებ ენაზე უნდა მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და მასთან ერთად მიიღოს გადაწყვეტილებები, რომელიც შეესაბამება კანონს და კლიენტის საუკეთესო ინტერესებს.

5.4 ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით ეთიკის კომისიამ 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე N074/10 განმარტა, რომ ,,ადვოკატის მოვალეობაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას, რათა კლიენტმა იცოდეს მის მიერ მინდობილი საქმის მსვლელობის თაობაზე... ადვოკატის აღნიშნული ვალდებულება პირდაპირ კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, რადგან კლიენტი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს და მნიშვნელოვანია ის ფლობდეს ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე.“ ეთიკის კომისიამ კლიენტის დროული ინფორმირება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას დაუკავშირა 2012 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე N092/11, სადაც განმარტა, რომ ,,ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას, კლიენტი ჩართულია საქმის მიმდინარეობის თაობაზე და აქვს შესაძლებლობა, გონივრულად მართოს საკუთარი ქმედებები. ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს საკითხები ზედმიწევნით, რაც კლიენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები.“

5.5 მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორებმა, ს. ბ.-მ და ზ. დ.-მ მემკვიდრეობით მიღებული უძრავი ქონების უკან დაბრუნების თაობაზე იურიდიული მომსახურეობის მიღების მიზნით მიმართეს ადვოკატ შ. ჭ.-ს. პირველი კომუნიკაცია მათ შორის 2012 წელს სოციალური ქსელის მეშვეობით შედგა. ამის შემდეგ ადვოკატმა დაიწყო საქმის წარმოებისათვის სათანადო დოკუმენტაციის მოძიება. ს. ბ. და ადვოკატი პირადად 2014 წელს შეხვდენენ რა დროსაც ადვოკატმა ს. ბ.-ს განუმარტა საქმესთან დაკავშირებული ყველა გარემოება.

5.6 მხარეთა ახსნა-განმარტებებიდან დგინდება, რომ პირველი კონსულტაციისა და შეთანხმების შინაარს საჩივრის ავტორი და ადვოკატი განსხვავებულად განმარტავენ: ს. ბ.-ის განმარტებით ადოკატს მისთვის არ მიუწოდებია ინფორმაცია მათ უძრავ ქონებაზე იპოთეკის არსებობის თაობაზე და ეს ინფორმაცია მისთვის მას შემდეგ გახდა ცნობილი, როდესაც სასამართლომ მათ იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 70 000 ლარი დააკისრა. ადვოკატის განმარტებით კი მისმა კლიენტმა თავიდანვე იცოდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებისა და მისგან მოსალოდნელი საფრთეების შესახებ. ადვოკატთან პირველი გასაუბრების შინაარსის დადასტურება ადვოკატს შეუძლია, ვინაიდან მათ საუბარს ესწრებოდა ა. ს., რომელიც მოწმედ იქნა დაკითხული და დაადასტურა ადვოკატის პოზიცია.

5.7 კლიენტის ინფორმირების ვალდებულების შესრულების დადგენის მიზნით, მხარეთა ახსნა განმარტებების გარდა, ეთიკის კომისიამ შეისწავლა დისციპლინურ საქმეში მხარეთა, ს. ბ.-ისა და ადვოკატ შ. ჭ.-ს შორის ელ-ფოსტის მიმოწერა. ვინაიდან ს. ბ. იმყოფებოდა რუსეთში მას ადვოკატთან ელ-ფოსტის მეშვეობით ჰქონდა კომუნიკაცია. ელ-ფოსტის მიმოწერით დგინდება,

რომ ადვოკატი XXX@mailXXX.com-დან კლიენტს აწვდიდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის შესახებ, ასევე სასამართლოში შეტანამდე გაუგზავნა სააპელაციო საჩივარი, სადაც ითხოვს 2017 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებას, კერძოდ ითხოვდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობას.

5.8 კლიენტის ინფორმირების ფაქტი 2018 წლის 13 დეკემბერს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დაადასტურა ადვოკატის მოწმე ა. ს.-მ, რომელიც ხშირად ესწრებოდა ადვოკა-კლიენტის შეხვედრებს. ა. ს.-ის განმარტებით, მისი დახმარებით, კლიენტი არა მხოლოდ ქართულად იღებდა ინფორმაციას, რომ მისი ქონება იპოთეკით იყო დატვირთული, არამედ რუსულადაც.

5.9 საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების, ელ-ფოსტის ანალიზისა და მოწმე ა. ს.-ის ახსნა-განმარტების შედეგად ეთიკის კომისია არ იზიარებს საჩივრის ავტორების პრეტენზიებს ადვოკატის მიერ მათ არაინფორმირებულობასთან დაკავშირებით. დედა-შვილისათვის თავიდანვე იყო ცნობილი საქმის გარშემო არსებული გარემოებები, რომ მათმა ახლობელმა გ. პ.-მ თაღლითური გზით მითვისებული უძრავი ქონება იპოთეკით დატვირთა. ადვოკატმა ასევე განუმარტა ს. ბ.-ს იპოთეკის არსისა და ბუნების შესახებ, რომ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხა მათი გადასახდელი იქნებოდა წინააღმდეგ შემთხვევაში სახლს აუქციონზე გაუყიდიდნენ. შესაბამისად, კოლეგიას გაუჩნდა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ადვოკატი ყველა მნიშვნელოვანი სიახლის შესახებ აწვდიდა ინფორმაციას კლიენტს და მან საქმე აწარმოა კვალიფიციურად.

5.10 საპროცესო კოლეგიამ ადვოკატის პრეტენზიაზე, იურიდიული მომსახურეობის სანაცვლოდ გადახდილი თანხის ნაწილის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით იმსჯელა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის შესაძლო ნაწილის დარღვევის თაობაზე:

,,კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან წარმოების პროცესში. კლიენტისათვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.“

5.11 საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან

ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას.

5.12 საჩივრის ავტორებსა და ადვოკატს შორის შეთანხმება არსებობდა წერილობითი ფორმით, სადაც მხარეების მიერ არ იყო განსაზღვრული საადვოკატო მომსახურეობის საფასური.

5.13 საქმის მასალების თანახმად, საჩივრის ავტორები განცხადებაში მიუთითებენ, რომ მათ ადვოკატს 19 000 აშშ დოლარი გადასცეს, რადგან ადვოკატმა მათ არასწორი ხარჯთაღრიცხვა წარმოუდგინა და მოითხოვენ თანხის ნაწილის უკან დაბრუნებას. ადვოკატის ახსნა-განმარტებებისა თანახმად მას კლიენტებისაგან არ მიუღია 19 000 აშშ დოლარი. მის ანგარიშზე კლიენტებმა ჩარიცხეს 1850 აშშ დოლარი და 4 400 ლარი, ხოლო 3870 აშშ დოლარი ა. ს.-ს სახელზე. აღნიშნულს ადვოკატი ადასტურებს წარმოდგენილი ქვითრებისა და ბანკის ამონაწერების მეშვეობით.

5.14 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ კლიენტები ვერ ამტკიცებენ ადვოკატისათვის 19 000 აშშ დოლარის გადაცემის ფაქტს. ადვოკატს კი წარმოდგენილი აქვს მტკიცებულებები, სადაც დასტურდება თანხის ჩარიცხვა და თანხის გამოყენების მიზნობრიობა.

5.15 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკმარისი ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და შესაბამისად, ადვოკატ შ. ჭ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა.

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №091/18 არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ შ. ჭ.-ის /სიითი №/ მიმართ.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/